გიორგი ნოზაძე
ნათია კობაძე
სალომე ჩხეიძე
ნინო გვილავა

# ტესტები
## მათემატიკაში

### II კლასი

### I ნაწილი

დიოგენე

დაწყებითი
სკოლა

პროექტის ხელმძღვანელი **მაგდა ბარამიძე**

რედაქტორი **სოლომონ ნოზაძე**

დიზაინერი და ტექნიკური რედაქტორი **გიორგი ბაგრატიონი**

ყდის დიზაინერი და ილუსტრატორი **ანა ოსიაშვილი**

**© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025, I გამოცემა**
**© გიორგი ნოზაძე, ნათია კობიძე, სალომე ჩხეიძე, ნინო გვილავა**

**ყველა უფლება დაცულია**
ISBN 978-9941-11-935-4
გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი: 2213321
ელფოსტა: adm@diogene.ge
www.diogene.ge

# გამარჯობა, მეგობარო!

ეს არის მათემატიკის ტესტების კრებული, რომელიც დაგეხმარება, უკეთ გაიმეორო ნასწავლი მასალა და კიდევ უფრო გაიმყარო ცოდნა.

კრებულში ნახავ როგორც წინა კლასის გასამეორებელ ტესტებს, ისე – შენი კლასის ტესტებს. შეგიძლია საკუთარი ძალები სცადო სხვადასხვა სირთულის ამოცანებში.

ტესტებში შეხვდები ორი ტიპის დავალებას:

**არჩევითპასუხიანი** – სადაც მოცემული ვარიანტებიდან უნდა აირჩიო სწორი;

**მოკლეპასუხიანი** – სადაც თავად უნდა ჩაწერო პასუხი.

ზოგიერთ დავალებაში მოგიწევს გამოთვლა, ზოგან – ფიქრი, ზოგან კი უბრალოდ სწორი პასუხის არჩევა.

არ ინერვიულო, თუ ყველა დავალებას პირველივე ჯერზე ვერ გააკეთებ. მთავარია სცადო, იფიქრო და ყოველი ნაბიჯით ისწავლო რაღაც ახალი.

**დაიმახსოვრე:** შეცდომა არ არის ცუდი – შეცდომა არის გზა სწავლისკენ!

წარმატებებს გისურვებ და გახსოვდეს – მათემატიკა შენი მეგობარია!

## სარჩევი


**ტესტი 1.** **გამეორება (რიცხვები 20-ის ჩათვლით)** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . **4**

**ტესტი 2.** **გამეორება (მოქმედებები რიცხვებზე 20-ის ჩათვლით)** . . . . . **11**

**ტესტი 3.** **რიცხვები 100-ის ჩათვლით (ნაწილი 1)** . . . . . . . . . . . . . . . . . . **18**

**ტესტი 4.** **შეკრება, გამოკლება 100-ის ჩათვლით** . . . . . . . . . . . . . . . . . . **30**

## ᲢᲔᲡᲢᲘ 1
## ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐ (ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ 20-ᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ)

### ვარიანტი 1

**1. რამდენი სამკუთხედია? შემოხაზე სწორი პასუხი.**



ა) 16

ბ) 17

გ) 18

დ) 19

**2. რამდენი ათეულია ? შემოხაზე სწორი პასუხი.**



ა) 10

ბ) 1

გ) 2

დ) 3

**3. რომელი შედარებაა შესრულებული სწორად? შემოხაზე სწორი პასუხი.**

ა) 15 > 14

ბ) 16 > 18

გ) 17 < 13

დ) 12 > 18

**4.** **რიცხვთა რომელი რიგია დალაგებული ზრდადობით? შემოხაზე სწორი პასუხი.**

ა) 11, 12, 10, 9

ბ) 20, 19, 18, 17

გ) 15, 16, 17, 14

დ) 17, 18, 19, 20

**5.** **შემოხაზე 19-ის წინა რიცხვი.**

ა) 18

ბ) 17

გ) 20

დ) 16

**6.** **შემოხაზე რიცხვითი მიმდევრობა, რომელშიც ყოველი მომდევნო რიცხვი წინა რიცხვზე 2-ით მეტია.**

ა) 10, 8, 6, 4

ბ) 11, 12, 13, 14

გ) 14, 16, 18, 20

დ) 20, 19, 18, 17

**7.** **რიგში მერამდენეა პატარა წრე? შემოხაზე სწორი პასუხი.**



ა) მე-2

ბ) მე-5

გ) მე-6

დ) მე-7

**8. იპოვე რიცხვი, რომლის მომდევნო რიცხვებია 19, 20.**

ა) 16
ბ) 17
გ) 18
დ) 19

**9. რამდენი ათეულია? კიდევ რამდენი ერთეულია? რა რიცხვით გამოისახება სამკუთხედების რაოდენობა?**



პასუხი: ______________________________

**10. დაყავი რაოდენობა ხუთეულებად. რამდენი ხუთეულია? რა რიცხვით გამოისახება წრეების რაოდენობა?**



პასუხი: ______________________________

**11. დაალაგე რიცხვები კლების მიხედვით.**

**6; 12; 19; 17; 9**

პასუხი: ____________________

**12. 14-ზე მეტი რომელი რიცხვების ჩაწერა შეიძლება უტოლობაში კითხვის ნიშნის ნაცვლად, რომ უტოლობა იყოს სწორი?**

**17 > ?**

პასუხი: ________

**13.** **ავტობუსები დგანან თავისი ნომრების თანმიმდევრობებით (№6, 7, 8, ...).**
**მერამდენეა რიგში №10 ავტობუსი?**




პასუხი: ___________

**14.** **რიცხვით მიმდევრობაში ყოველი მომდევნო რიცხვი წინა რიცხვზე 3-ით ნაკლებია. რა რიცხვები უნდა ეწეროს გამოტოვებულ ადგილებზე?**

18, 15, 12, ________ , 6, ________ , ________ .